ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1548839

ნომერი: AR1256969

თარიღი : 09.10.2014

გაცემის თარიღი : 30.10.2014

გაცნობის თარიღი : 31.10.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალექსანდრე ყაზბეგის , N 36ა-39ა , ნაკვ.40/301 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ დიდიშვილი პ/ნ 01008008084
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 75 კორ. 4 ბ. 24

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.06.2014წ. #1354434 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისსსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 10/09/2014წ. #AR1256969

განაცხადით მომართა ზურაბ დიდიშვილმა და მოითხოვა სამსახურის26.06.2014წ. #1354434 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 26.06.2014წ. #1354434 ბრძანებით, ქ. თბილისში, გამზირი ალექსანდრე ყაზბეგის, N 36ა-39ა, ნაკვ.40/301, შპს "მანა-2013"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდიN01.14.03.040.313) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 26 ივნისიდან 2015 წლის 26 დეკემბრის ჩათვლით. დამკვეთად დაფიქსირდა შპს "მანა-2013".

განმცხადებლის განმარტებით, პროექტის შეთანხმებისას, საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა მითითებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, კერძოდ, დაფიქსირდა: საერთო ფართობი (კვ.მ).: 5105.32, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 571.03.

აღნიშნულის გამო, დღეისათვის, სამსახურს მომართავს დამკვეთის, შპს "მანა-2013"-ის დირექტორი (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადისრეგისტრაციის ნომერი: B14014183, ამონაწერისმომზადების თარიღი: 14/02/2014 12:40:41) დაითხოვს ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში მიეთითოს: საერთო ფართობი (კვ.მ).:4984.07, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:449.78, ხოლო დანარჩენი მაჩვენებლებიდარჩეს უცვლელი.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და მიზანშეწონილად მიიჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.06.2014წ. #1354434 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).:4984.07, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:449.78, სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.06.2014წ. #1354434 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარატავას ქ. #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.